საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №361
2013 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 20 ივლისის №137 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 20 ივლისის №137 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში (სსმ, 100020020.22.038.016061, 22/07/2011) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,კ“ ქვეპუნქტები:

,,კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;"

2. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ე“ ქვეპუნქტი:

,,ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების, სამინისტროს მიერ გამართული ოფიციალური შეხვედრების/კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;"

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი **სოზარ სუბარი**